სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
16.11.2017 № 216
თბილისი

სტუ-ში 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე საგნობრივ პროფესიულ
საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული
სტუდენტების რეგისტრაციის ვადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის № 152/ნ ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პროფესიულმა სტუდენტებმა, რომლებიც 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიული ტესტირების საფუძველზე მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნდა გაიარონ შესაბამის ფაკულტეტებზე 2017 წლის 20 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 16:00 საათამდე ყოველდღე კვირის გარდა (დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს დანართი №2-ის შესაბამისად.
3. პირს, რომელიც არ შეასრულებს ამ ბრძანების პირველი პუნქტის მოთხოვნებს, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გ.აბრამიშვილს.
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*

დანართი № 1

1. სამშენებლო ფაკულტეტი - სტუ-ის I კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი №422
   საკონტაქტო ტელეფონი - 2 331 787;

2. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - სტუ-ის X კორპუსი, მე-4 სართული, დეკანატი.
   საკონტაქტო ტელეფონი - 2 363 807;

3. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - სტუ-ის I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი №543
   საკონტაქტო ტელეფონი -2 36 40 35; 599700 804.

4. სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - სტუ-ის I კორპუსი, მე-7 სართული, ოთახი №725
   საკონტაქტო ტელეფონი - 595 745 727;

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
   ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი 4.
   საკონტაქტო ტელეფონი - 595 988 927; 599 304 642;

6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი.
   სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. 126
   საკონტაქტო ტელეფონი - 574 020 301; 593 129 935.

დანართი №2

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. დაბადების მოწმობა/პირადობის მოწმობა/პასპორტი და ასლი;
2. 2 ფოტოსურათი (3x4სმ) ამობეჭდილი და ელექტრონული ვერსია კომპაქტ-დისკზე (CD);
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად (საწყისს) საფეხურზე დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული დოკუმენტები - საბაზო ან სრული განათლების ატესტატი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).